შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"
"UNITED AIRPORTS OF GEORGIA" LLC

N 35

" " "
17 04 2024

ბრძანება

აეროპორტების კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში დაშვების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

1. დამტკიცდეს „აეროპორტების კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში დაშვების შესახებ" დებულება და მისი დანართები, წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული სახით.

2. წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული დებულება და მასზე დართული დანართები ამოქმედდეს 2024 წლის 17 აპრილიდან.

3. 2024 წლის 17 აპრილიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს გენერალური დირექტორის 2024 წლის 23 იანვრის N03 ბრძანებით დამტკიცებული „აეროპორტების შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში დაშვების შესახებ" დებულება და მისი დანართები.

4. ამ ბრძანებით დამტკიცებული დებულებითა და მისი დანართებით დადგენილ საფასურებთან მიმართებაში, შესაძლებელია დადგინდეს გარკვეული გამონაკლისები ან განსხვავებული წესები, შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" მიერ დამტკიცებული სპეციალური ფასების, ფასდაკლების ან სტიმულირების კონცეფციებით.

5. წინამდებარე ბრძანება გაეცნოს იურიდიულ სამსახურს, ბუღალტერიას, ფინანსურ დეპარტამენტს, საქმის წარმოების სამსახურს, ასევე საავიაციო უშიშროების დირექტორის დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს.

6. დაევალოს IT დეპარტამენტს დებულებისა და მისი დანართების გამოქვეყნება შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" ოფიციალურ ვებ-გვერდზე - www.airports.ge;

7. დებულების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საავიაციო უშიშროების დირექტორს, ხოლო გადახდების ნაწილში ასევე ფინანსური დეპარტამენტის უფროსს.

8. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დანართი:
„აეროპორტების კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში დაშვების შესახებ" დებულება და მისი დანართები.

გენერალური დირექტორი **ირაკლი ქარქაშაძე**

დამტკიცებულია შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“
გენერალური დირექტორის 2024 წლის 17 აპრილის №35 ბრძანებით

დებულება

აეროპორტების კონტროლირებად და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში
დაშვების წესის შესახებ

შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“
2024 წელი

სარჩევი

1. მარეგულირებელი მოთხოვნები 3
2. ზოგადი დებულებები 3
3. კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში შესასვლელი საშვების სახეები 4
4. კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში დაშვება 5
5. კონტროლირებად და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში დაშვება საშვის ან/და სწავლების გარეშე 6
6. კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში დასაშვები საშვი 6
7. პიროვნების მუდმივი საშვი 7
8. პიროვნების დროებითი საშვი 9
9. პიროვნების ერთჯერადი საშვი 10
10. მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მუდმივი საშვი (12 თვის ან 30 კალენდარული დღის მოქმედების ვადით) 11
11. მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ერთჯერადი საშვი 12
12. კონტროლირებად და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში ცეცხლსასროლი იარაღით დაშვება 13
13. დოკუმენტების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება 14
14. დაშვებაზე უარის თქმა 14
15. საშვების გაცემა და ამოღება 15
16. ცვლილება გაცემულ საშვებში 16
17. საშვის დაკარგვა ან დაზიანება 16
18. საშვის მოქმედების შეჩერება 16
19. დაშვების გაუქმება 17

*გამცილებელი პირის მოვალეობები: 18

1. მარეგულირებელი მოთხოვნები

1.1 დებულება შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 დეკემბრის №556 დადგენილებით დამტკიცებული ,,მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან სამოქალაქო ავიაციის უშიშროების დაცვის უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის", სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 14 მარტის №65 ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს სამოქალაქო აეროპორტების და სხვა ავიასაწარმოების კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცული ზონების განსაზღვრისა და ამ ზონებში დაშვების წესი"-ს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის, სამოქალაქო აეროდრომის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითთა მოძრაობის მოწესრიგების წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 23 მაისის N66 ბრძანების და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 12 მარტის N61 -ე ბრძანებით დამტკიცებული "სამოქალაქო ავიაციის სფეროში საავიაციო უშიშროების საკითხებში მომზადების პროგრამის" შესაბამისად.

1.2 დებულება ადგენს შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" (საიდენტიფიკაციო კოდი: 404 389 693; შემდგომში - „გაერთიანება") მიერ საქართველოს სამოქალაქო აეროპორტების კონტროლირებად და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში პიროვნების ან/და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების დაშვების წესებს.

1.3 აეროპორტში სასაშვო რეჟიმის უზრუნველყოფა ხორციელდება შემდეგი პროცედურებით:

1.3.1 კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში უცხო პირის და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების არასანქცირებული შეღწევის აღკვეთით;

1.3.2 ავიასაწარმოს/ორგანიზაციის პერსონალის და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების, რომლის შესვლაც განპირობებულია სამსახურებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში დადგენილი წესით დაშვებით;

1.3.3 კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზომნაში შემსვლელი ავიასაწარმოს თანამშრომლების და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების რაოდენობის შეზღუდვით.

1.4 გაერთიანების კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში დაშვება ხორციელდება ამ დებულებით შესაბამისად გაცემული და მოქმედი საშვით.

1.5 სასაშვო სისტემა ითვალისწინებს ავიასაწარმოების/ორგანიზაციების თანამშრომლებზე და სატრანსპორტო საშუალებებზე გაცემული საშვების გამოყენებას.

1.6 ამ დებულების მოთხოვნები ვრცელდება ავიასაწარმოებზე და ორგანიზაციებზე, რომლებიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებენ შპს "აეროპორტების გაერთიანების" კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში.

2. ზოგადი დებულებები

2.1 პიროვნება/მექანიკური სატრანსპორტო საშუალება გაერთიანების კონტროლირებადი შეზღუდული დაშვების დაშვების დაცულ ზონაში არ დაიშვება, თუ მას არ გააჩნია ამ დებულების შესაბამისად გაცემული და მოქმედი საშვი.

2.2 შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში პიროვნების ან/და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების დაშვების საკითხის რეგულირების ფარგლებში, "გაერთიანება" კანონმდებლობის შესაბამისად:

2.2.1 ადგენს შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში დაშვების წესებს და პირობებს;

2.2.2 ამოწმებს პირის მიერ შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში დაშვების მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტებს;

2.2.3 იღებს გადაწყვეტილებას პიროვნების ან/და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში დაშვების საკითხზე;

2.2.4 განსაზღვრულ შემთხვევებში, დაინტერესებული პირის მოთხოვნით, ახორციელებს მათი სწავლების ჩატარებას UAG აკადემიაში;

2.2.5 ამზადებს და გასცემს შეზღუდული დაშების დაცულ ზონებში დასაშვებ საშვებს;

2.2.6 საჭიროებისამებრ შეაქვს ცვლილება შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში დასაშვებ საშვებში

2.2.7 იბრუნებს დაზიანებულ, ჩამორთმეულ და პირის სამუშაოდან გათავისუფლების/ სხვა სამსახურში გადასვლის შემთხვევაში მოქმედ საშვ(ებ)ს;

2.2.8 2024 წლის 14 მარტის №65 ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს სამოქალაქო აეროპორტების და სხვა ავიასაწარმოების კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცული ზონების განსაზღვრისა და ამ ზონებში დაშვების წესი”-ს შესაბამისად ქმნის, ამუშავებს და ინახავს კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში დაშვების საკითხებთან დაკავშირებულ უწყებრივ ელექტრონულ ბაზას/რეესტრს.

2.3 ავიასაწამოს/ორგანიზაციის ლიკვიდაციის, საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის გაუქმების, პირის დაკავებული პოზიციიდან გათავისუფლების ან სხვა დაწესებულებაში გადასვლის, ან საშვის დაკარგვის შემთხვევაში, საშვის გაუქმების მიზნით, ავიასაწარმო/ორგანიზაცია ვალდებულია დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია საშვის გამცემს, რის შემდეგაც ხორციელდება საშვის პროგრამული დეაქტივაცია.

2.4 იმ შემთხვევაში, თუ გაერთიანების ან ავიასაწარმოს/ორგანიზაციის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით საჭირო გახდება რომელიმე პირის მუდმივი/დროებითი საშვის მოქმედების შეჩერება, ინიციატორი აღნიშნულის შესახებ აცნობებს „გაერთიანება“-ს რომელიც თავის მხრივ ინფორმაციას გადასცემს საავიაციო უშიშროების უზრუნველმყოფი დანაყოფის ხელმძღვანელს და ივსება საშვის მოქმედების შეჩერების აღრიცხვის ფურცელი (STOP LIST).

2.5 შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში დაშვების მისაღებად საჭირო დოკუმენტების ფორმები განთავსებულია გაერთიანების ვებ-გვერდზე www.airports.ge. გაერთიანება არ განიხილავს აღნიშნული ვებ. გვერდზე განთავსებული ფორმისგან განსხვავებულ წერილს ან სხვა დოკუმენტს ან/და არასრულ დოკუმენტაციას.

2.6 ნებისმიერი სახის საშვის გადაცემა სხვა პირზე კატეგორიულად აკრძალულია. ასეთი ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში საშვის მფლობელს ჩემოერთმევა საშვი და დისციპლინარული ზომების მიღების მიზნით ეცნობება დამსაქმებელს.

3. კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში შესასვლელი საშვების სახეები

3.1 კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში შესასვლელი საშვების სახეებია:

ა) პიროვნების მუდმივი საშვი;

ბ) მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მუდმივი საშვი;

გ) პიროვნების დროებითი საშვი;

დ) პიროვნების ერთჯერადი საშვი;

ე) მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ერთჯერადი საშვი.

3.2 პიროვნების მუდმივი საშვი გაიცემა განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ვადით, მაგრამ არაუმეტეს 24 თვისა, რომელიც აითვლება ანკეტური მონაცემების დადასტურების თარიღიდან. პიროვნების მუდმივ საშვს უნდა გააჩნდეს გაყალბებისგან დამცავი კოდური სისტემა.

3.3 მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მუდმივი საშვი გაიცემა არაუმეტეს 12 თვის ვადით.

3.4 პიროვნების დროებითი საშვი გაიცემა არაუმეტეს 30 დღის ვადით. პიროვნები დროებითი საშვის მფლობელს, კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების ზონებში დაშვების და გადაადგილების მიზნით თან უნდა ჰქონდეს პირადობის დამადასტურებელი (პირადობის მოწმობა ან პასპორტი) დოკუმენტი.

3.5 პიროვნების ერთჯერადი საშვი და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ერთჯერადი საშვი მოქმედია გაცემიდან 24 საათის განმავლობაში.

3.6 გაერთიანებამ უნდა უზრუნველყოს, რომ მინიმუმადე იყოს დაყვანილი ტერიტორიაზე დასაშვები მექანიკური სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა.

4. კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში დაშვება

4.1 კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში დაშვების უფლებას იძლევა და შესაბამის საშვებს გასცემს "გაერთიანება".

4.2 კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში დასაშვებად, დაინტერესებული ავიასაწარმო/ორგანიზაცია გაერთიანებას მიმართავს დაშვების წერილით, რომლის ფორმები (როგორც პიროვნების დაშვების მოთხოვნის, ისე - მექანიკური სატრანსპორტო საშუალების) დანართი #1-ის და დანართი #2-ის სახით, დაერთვის წინამდებარე დებულებას, ასევე განთავსებულია გაერთიანების ვებ-გვერდზე: www.airports.ge.

4.3 კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში პიროვნების მუდმივი და დროებითი საშვის მისაღებად აუცილებელია, პირის ანკეტური მონაცემების შემოწმება, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. გაერთიანება შუამდგომლობს საშვის მაძიებელს ანკეტური მონაცემების შემმოწმებელ ორგანოსთან, რისთვისაც შესაბამისი დოკუმენტაცია ავიასაწარმოს/ორგანიზაციის მიერ იგზავნება გაერთიანებაში ელექტრონული ფოსტის მისამართზე: app@airports.ge. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან პასუხის მიღების შემდეგ, ინფორმაცია შემოწმების შედეგების შესახებ გაერთიანების მიერ მიეწოდება შემოწმების ინიციატორ ავიასაწარმოს/ორგანიზაციას.

4.4 მუდმივი საშვის მისაღებად აუცილებელია შესაბამისი სერთიფიკატის წარმოდგენა რომლითაც დადასტურდება საავიაციო უშიშროების შესაბამისი სასწავლო კურსის გავლა ა) „გაერთიანების" UAG აკადემიაში; ბ) საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მხრიდან სერტიფიცირებული ინსტრუქტორთან ან გ) საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ აღიარებული სასწავლო ორგანიზაციაში ან პროფილურ სასაწავლო პლატფორმაზე.

4.5 მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მუდმივი საშვის მისაღებად აუცილებელია მძღოლს გავლილი ჰქონდეს აეროდრომის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალების და ქვეითთა მოძრაობის მოწესრიგების სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლება. აღნიშნული სწავლების ჩატარებას და მოწმობის გაცემას შესაბამისი ტარიფებით, ახორციელებს აეროპორტის ოპერატორი კომპანია.

4.6 პიროვნების ან მექანიკური სატრანსპორტო საშუალების კონტროლირებად და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში დაშვების საკითხს "გაერთიანება" წყვეტს დამოუკიდებლად, მოქმედი კანონმდებლობის, შესაბამისი აეროპორტის საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის პროგრამის, ამ დებულების მიხედვით, უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დაცვის ინტერესების შესაბამისად.

4.7 დაშვების საკითხის გადაწყვეტისას "გაერთიანება" განიხილავს, რამდენად დასაბუთებულია მოთხოვნა კონკრეტული პირისა თუ მექანიკური სატრანსპორტო საშუალების კონტროლირებად და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში დაშვების თაობაზე.

4.8 ავიასაწარმოს/ორგანიზაციის იმ თანაშრომლებზე, რომელთაც უწევთ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება საქართველოს ერთზე მეტ სამოქალაქო აეროპორტში, გაერთიანება პიროვნების მუდმივ საშვს გასცემს, მხოლოდ, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან შეთანხმებით.

4.9 პიროვნების და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების დაშვება კონტროლირებად და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში (რიგ შემთხვევებში გამოსვლა) ხორციელდება მხოლოდ აეროპორტის საკონტროლო გამშვები პუნქტის გავლით.

5. კონტროლირებად და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში დაშვება საშვის ან/და სწავლების გარეშე

5.1 მართლსაწინააღმდეგო ქმედების შემთხვევაში ან/და საგანგებო სიტუაციისას, საძიებო-სამაშველო სამსახურების, სახანძრო-სამაშველო დანაყოფების, სასწრაფო სამედიცინო დახმარების, საავიაციო შემთხვევების შედეგების სალიკვიდაციო ბრიგადების, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი უწყებების წარმომადგენლები და სატრანსპორტო საშუალებები, აეროპორტის შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში დაიშვებიან საშვის გარეშე საავიაციო უშიშროების უზრუნველმყოფი დანაყოფის უფლებამოსილი წარმომადგენლის თანხლებით. იმ პირთა წრე, რომლებიც შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში საშვის ან/და სწავლების გარეშე დაიშვებიან, მოცემულია წინამდებარე დებულების #3 დანართში.

6. კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში დასაშვები საშვი

6.1 საშვი არის მკაცრი აღრიცხვის, დადგენილი ფორმის დოკუმენტი, რომელიც მის მფლობელს ანიჭებს უფლებას, შევიდეს შესაბამისი აეროპორტის კონტროლირებად და შეზღუდული დაშვების დაცულ, საშვით განსაზღვრულ ზონაში.

6.2 მექანიკური სატრანსპორტო საშუალების და პიროვნების ერთჯერადი საშვები ვადის ამოწურვის შემდგომ ექვემდებარება "გაერთიანებისთვის" დაბრუნებას.

6.3 საშვის მონაცემებში თვითნებურად შესწორებების შეტანა ან გადაკეთება აკრძალულია.

6.4 სხვა პირისათვის საშვის გადაცემა ან საკუთარი საშვით სხვა პირის დაშვება კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში (გარდა გამცილებლის* ფუნქციის შესრულებისას) აკრძალულია.

6.5 მუდმივი საშვის მფლობელი ვალდებულია, იცნობდეს და დაიცვას საშვის გამოყენების წესები. ხოლო დროებითი და ერთჯერადი საშვის მფლობელი ვალდებულია დაემორჩილოს გამცილებელი* პირ(ებ)ის კანონიერ მოთხოვნებსა და მითითებებს.

6.6 საშვი აქტიურია მისი გაცემის მომენტიდან და მოქმედებს მასზე მითითებული ვადით.

6.7 მოქმედი საშვის დაზიანების (ფიზიკური, ზედაპირული დაზიანება), ან დაკარგვის შემთხვევაში საშვის მფლობელ პირს/ორგანიზაციას ეკისრება ჯარიმა. მისი ოდენობა

განსაზღვრულია გაერთიანების მიერ. მოქმედი საშვის დაზიანების (ფიზიკური, ზედაპირული დაზიანება), ან დაკარგვის შემთხვევაში, გაერთიანების მიერ განსაზღვრული ჯარიმის ოდენობები მოცემულია წინამდებარე დებულების #4 დანართში.

7. პიროვნების მუდმივი საშვი

7.1 პიროვნების მუდმივი საშვი, განმცხადებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, გაიცემა 12 ან 24 თვის მოქმედების ვადით, სამოქალაქო ავიაციის სფეროში დასაქმებულ ან/და სამოქალაქო ავიაციის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ პირებზე, ორგანიზაციების, სახელმწიფო უწყებების და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებზე (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შუამდგომლობით), რომელთაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისთვის სჭირდებათ აეროპორტის კონტროლირებად და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში რეგულარული დაშვება. მუდმივი საშვის მიმღები პირი აუცილებელია, რომ აკმაყოფილებდეს საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ასაკობრივ ზღვარს;

7.2 პირი, კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში გამცილებლის გარეშე გადაადგილების უფლების მინიჭების მიზნით, ექვემდებარება ანკეტური მონაცემების შემოწმებას, რომელიც ითვალისწინებს, მისი კრიმინალური წარსულის გამორიცხვასა და სხვა პირადი მონაცემების დადგენას/იდენტიფიცირებას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3 პირის ანკეტური მონაცემების შემოწმებას უზრუნველყოფს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. ანკეტური მონაცემების შემოწმების ორგანიზებას, რომელიც მოიცავს ანკეტური მონაცემების შემოწმების დაგეგმვას, საჭირო დოკუმენტაციის შეგროვებას და გადაგზავნას შესაბამის უწყებასთან, უზრუნველყოფს პირის დამსაქმებელი.

7.4 ანკეტური მონაცემების შემოწმებისთვის, პირის დამსაქმებელი ვალდებულია მიმართოს საშვის გამცემს შუამდგომლობით წარუდგინოს ანკეტური მონაცემების შემოწმებისთვის საჭირო დოკუმენტაცია, საშვის გამცემის მოთხოვნის შესაბამისად. საშვის გამცემი, თავის მხრივ, დოკუმენტაციას, ანკეტური მონაცემების შესამოწმებლად, უგზავნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს.

7.5 გარდა დაშვების წერილისა, თითოეულ პიროვნებაზე ივსება ინდივიდუალური დეტალური განაცხადი კონკრეტული აეროპორტისათვის დადგენილი ფორმის შესბამისად. წერილის და განაცხადის ფორმები წარდმოგენელია ვებ გვერდზე: www.airports.ge, ასევე დანართი #1; #3.1; #3.2; #3.3; #3.4; #3.5; #3.6-ის სახით, დაერთვის წინამდებარე დებულებას.

7.6 პიროვნების მუდმივი (12 და 24 თვის მოქმედების ვადით) საშვის მისაღებად წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტები:

7.6.1 სრულყოფილად შევსებული და უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი დაშვების წერილი;

7.6.2 თითოეულ პიროვნებაზე, რომელზეც მოთხოვნილია საშვის გაცემა, სრულყოფილად შევსებული და უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი პირადი საშვის განაცხადის ფორმა, საჭიროების შემთხვევაში სასაზღვრო და საბაჟო სამსახურებთან წინასწარი შეთანხმებით;

7.6.3 თითოეული პიროვნების პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ასლი. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - საქართველოში ბინადრობის მოწმობის ასლი;

7.6.4 უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა საშვის მისაღებად, გაერთიანებას უნდა წარუდგინონ იმ ქვეყნის უფლებამლოსილი სამსახურის გაცემული სათანადოდ დამოწმებული ცნობა ნასამართლეობის შესახებ, ნათარგმნი ქართულ ენაზე, რომლის მოქალაქეს/რეზიდენტსაც წარმოადგენს პირი.

7.6.5 თითოეული პიროვნების ფოტოსურათის ელექტრონული ვერსია. ფოტოსურათი უნდა იყოს:

- ✈ ბიომეტრიული;
- ✈ ფერადი;
- ✈ ანფასის ხედით;
- ✈ გადაღებული თეთრ ფონზე.

7.7 საშვის განაცხადის ფორმაში მითითებული უნდა იყოს, სუს-ის მიერ ანკეტური მონაცემების დამადასტურებელი წერილის ნომერი და თარიღი.

7.8 დაინტერესებულმა პირმა, პიროვნების მუდმივი საშვის მოთხოვნამდე ანკეტური მონაცემების შემოწმების მიზნით უნდა მიმართოს "გაერთიანება"-ს ელექტრონული ფოსტის მისამართზე app@airports.ge. საშვის მაძიებელი, თანმხლები წერილით, აგზავნის იმ პიროვნების ანკეტურ მონაცემებს (საშვის განაცხადის პირველი გვერდი), რომლისთვისაც ითხოვს შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში დაშვებას. ანკეტური მონაცემების გადამოწმების შესახებ მიღებული პასუხი აისახება შემდგომში გაერთიანებისთვის წარსადგენ საშვის განაცხადის ფორმაში. სუს-ის მიერ დადასტურებული ანკეტური მონაცემების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2 წლით.

7.9 ანკეტური მონაცემების შემოწების შემდეგ, დაინტერესებული ავიასაწარმო/ორგანიზაცია საშვის მისაღებად სრულყოფილ დოკუმენტაციას მიაწვდის გაერთიანების კანცელარიას. წინასწარ დასკანერებული ვერსია იგზავნება ელექტრონულ მისამართზე info@airports.ge.

7.10 დაინტერესებულმა პირმა გაერთიანებას უნდა მიმართოს საშვის გაცემის თაობაზე პიროვნების ანკეტური მონაცემების დადასტურებიდან 1 (ერთი) თვის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, პირის ანკეტური მონაცემები შეიძლება შემოწმდეს განმეორებით ინიციატორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე ვადის გასვლის საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში. მიმართვის ერთთვიანი ვადა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომელთა ანკეტური მონაცემები შემოწმებულია დადგენილი წესით, მიღებული აქვთ მუდმივი საშვი და უწყვეტად დასაქმებული არიან ავიასაწარმო/ორგანიზაციაში.

7.11 საშვის მოქმედება ჩერდება, თუ მისი მოქმედების ვადა აღემატება სუს-ის მიერ ანკეტური მონაცემების დადასტურების წერილის მოქმედების ვადას. აღნიშნული მიზეზით შეჩერებული საშვის მოქმედება აღდგება მასზე მითითებული ვადით, სუს-ის მიერ ანკეტური მონაცემების ხელახალი დადასტურების შემთხვევაში.

7.12 საშვის მოქმედება ჩერდება, თუ მისი მოქმედების ვადა აღემატება უცხო ქვეყნის მოქალაქის საქართველოს ბინადრობის მოწმობის ან/და დიპლომატიური კორპუსის შემთხვევაში აკრედიტაციის ბარათის მოქმედების ვადას. აღნიშნული მიზეზით შეჩერებული საშვის მოქმედება, მასზე მითითებული ვადით აღდგება საქართველოს ბინადრობის ან/და აკრედიტაციის ბარათის განახლებული მოწმობის წერილობითი ფორმით წარმოდგენის საფუძველზე.

7.13 საშვის მისაღებად აუცილებელია მისი ღირებულების გადახდა გაერთიანების დადგენილი ტარიფით.

7.14 ანკეტური მონაცემების დამადასტურებელი წერილის მოქმედების 2 წლიანი ვადის გასვლამდე, სულ მცირე 3 თვით ადრე, ავიასაწარმო/ორგანიზაცია განმეორებით მიმართავს საშვის გამცემს პიროვნების ანკეტური მონაცემების დადასტურების მიზნით უფლებამოსილ ორგანოსთან შუამდგომლობით.

8. პიროვნების დროებითი საშვი

8.1 პიროვნების დროებითი (30 კალენდარული დღის მოქმედების ვადით) საშვი გაიცემა დაინტერესებული ავიასაწარმოს/ორგანიზაციის მოთხოვნის საფუძველზე. ერთ პირზე, კალენდარული წლის (1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით) განმავლობაში დროებითი საშვი შეიძლება გაიცეს არაუმეტეს 5-ჯერ. დროებითი საშვის გაცემის აუცილებელი წინაპირობაა, იმავე ავიასაწარმოს/ორგანიზაციის (ოფიციალური წერილობითი თანხმობის შემთხვევაში დასაშვებია სხვა ავიასაწარმო/ორგანიზაცია) მუდმივი საშვის მქონე გამცილებლის* თანხლება, როგორც საშვის აღების და ჩაბარების, ასევე აეროპორტის შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში გადაადგილებისას. გამონაკლის შემთხვევებში, ანკეტური მონაცემების შემმოწმებელ უწყებასთან შეთანხმებით, შესაძლებელია დროებითი საშვის დამატებითი რაოდენობით გაცემა.

8.2 პიროვნების დროებითი საშვი გაიცემა იმ პირებზე:

- რომელთა დაშვება/გადაადგილება აეროპორტის შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში აუცილებელია ავიასაწარმოს/ორგანიზაციის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის;
- რომლებიც ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებენ გარკვეული ტიპის სამუშაოებს;
- რომელთა მიმართ მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით მიმდინარეობს მუდმივი საშვის გაცემის პროცედურები;
- რომელთა ანკეტური მონაცემები შემოწმებულია დადგენილი წესით;
- პიროვნების დროებითი საშვის მიმღები პირი აუცილებელია აკმაყოფილებდეს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ასაკობრივ ზღვარს;

8.3 პირი, კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში დროებითი გადაადგილების უფლების მინიჭების მიზნით, ექვემდებარება ანკეტური მონაცემების შემოწმებას, რომელიც ითვალისწინებს, მისი კრიმინალური წარსულის გამორიცხვასა და სხვა პირადი მონაცემების დადგენას/იდენტიფიცირებას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4 პირის ანკეტური მონაცემების შემოწმებას უზრუნველყოფს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. ანკეტური მონაცემების შემოწმების ორგანიზებას, რომელიც მოიცავს ანკეტური მონაცემების შემოწმების დაგეგმვას, საჭირო დოკუმენტაციის შეგროვებას და გადაგზავნას შესაბამის უწყებასთან, უზრუნველყოფს პირის დამსაქმებელი.

8.5 ანკეტური მონაცემების შემოწმებისთვის, პირის დამსაქმებელი ვალდებულია მიმართოს საშვის გამცემს შუამდგომლობით წარუდგინოს ანკეტური მონაცემების შემოწმებისთვის საჭირო დოკუმენტაცია, საშვის გამცემის მოთხოვნის შესაბამისად. საშვის გამცემი, თავის მხრივ, დოკუმენტაციას, ანკეტური მონაცემების შესამოწმებლად, უგზავნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს.

8.6 დროებითი საშვის გაცემის მიზნით, ანკეტური მონაცემების შემოწმება ხორციელდება გამარტივებული წესით, სრული ანკეტური მონაცემების შემოწმების გარეშე. საშვის მაძიებელი ვალდებულია წარმოადგინოს ცნობები ნასამართლეობისა და

ნარკოლოგიური აღრიცხვიანობის შესახებ. ინიციატორმა გაერთიანებას უნდა მიმართოს საშვის გაცემის თაობაზე პიროვნების ანკეტური მონაცემების დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, პირის ანკეტური მონაცემები შეიძლება შემოწმდეს განმეორებით ინიციატორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე ვადის გასვლის საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში.

8.7 პიროვნების დროებითი (30 კალენდარული დღის მოქმედების ვადით) საშვის მისაღებად წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტები:

8.7.1 სრულყოფილად შევსებული და უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი საშვის განაცხადი (დანართი #4.1; #4.2; #4.3; #4.4; #4.5; #4.6) და დაშვების წერილი (დანართი #1), საჭიროების შემთხვევაში სასაზღვრო და საბაჟო სამსახურებთან წინასწარ შეთანხმებული;

8.7.2 პირის მოქმედი პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

8.7.3 უცხო ქვეყნის მოქალაქე ვალდებულია წარმოადგინოს მისი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული, ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული ცნობა ნასამართლეობის შესახებ და ნარკოლოგიური აღრიცხვიანობის შესახებ;

8.7.4 თითოეული პიროვნების ფოტოსურათი, რომელიც უნდა იყოს:

- ✈ ბიომეტრიული;
- ✈ ფერადი;
- ✈ ანფასის ხედით;
- ✈ გადაღებული თეთრ ფონზე;

8.1 საშვის მისაღებად აუცილებელია მისი ღირებულების გადახდა გაერთიანებისდადგენილი ტარიფით, რომელიც მოცემულია წინამდებარე დებულების #4 დანართში.

9. პიროვნების ერთჯერადი საშვი

9.1 პიროვნების (სტუმრის) ერთჯერადი საშვი გაიცემა დაინტერესებული ავიასაწარმოს/ორგანიზაციის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე და მოქმედებს გაცემის მომენტიდან, მრავალჯერადად, 24 (ოცდაოთხი) საათის განმავლობაში ერთი და იგივე პიროვნებაზე ერთჯერადი საშვი გაიცემა კალენდარული თვის განმავლობაში არაუმეტეს 5 ჯერ. ერთჯერადი საშვის გაცემის აუცილებელი წინაპირობაა, იმავე ავიასაწარმოს/ორგანიზაციის (ოფიციალური წერილობითი თანხმობის შემთხვევაში დასაშვებია სხვა ავიასაწარმო/ორგანიზაცია) მუდმივი საშვის მქონე გამცილებლის* თანხლება, როგორც საშვის აღების და ჩაბარების, ასევე აეროპორტის შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში გადაადგილებისას.

9.2 პიროვნების ერთჯერადი საშვი გაიცემა პირებზე:

- ✈ რომელთა დაშვება/გადაადგილება აეროპორტის კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში აუცილებელია ავიასაწარმოს/ორგანიზაციის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის.
- ✈ რომლებიც ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებენ გარკვეული ტიპის სამუშაოებს;
- ✈ ავიასაწარმოს/ორგანიზაციის სტუმრებზე;
- ✈ რომლებმაც დაკარგეს/დარჩათ პიროვნების მუდმივი/დროებითი საშვი (აღნიშნულ შემთხვევაში ძირითადი საშვის მოქმედება ჩერდება).

9.3 პიროვნების ერთჯერადი საშვის მისაღებად წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტები:

- სრულყოფილად შევსებული და ავიასაწარმოს/ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი დაშვების წერილი;
- პიროვნების პირადობის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის ასლი.
- საშვის მიმღები ვალდებულია თან იქონიოს დაშვების წერლით წარმოდგენილი პირადობის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის დედანი.

9.4 საშვის გაცემის ინიციატორი ვალდებულია, ერთჯერადი საშვი დაუბრუნოს საშვის გამცემ ორგანოს მოქმედების ვადის ან შეზღუდული დაშების დაცულ ზონაში ყოფნის აუცილებლობის ამოწურვისთანავე, წინააღმდეგ შემთხვევაში ინიციატორი დაჯარიმდება "გაერთიანების" მიერ დადგენილი წესით.

9.5 5.1 პუნქტში მითითებული დაშვების გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში

10. მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მუდმივი საშვი (12 თვის ან 30 კალენდარული დღის მოქმედების ვადით)

10.1 მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მუდმივი (30 კალენდარული დღის ან 12 თვის მოქმედების ვადით) საშვი გაიცემა დაინტერესებული ავიასაწარმოს/ორგანიზაციის მოთხოვნის საფუძველზე მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებზე და მოქმედებს მრავალჯერადად.

10.2 მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მუდმივი საშვი გაიცემა ორგანიზაციის/ავიასაწარმოს მოთხოვნის საფუძველზე იმ შემთხვევაში, როდესაც მექანიკური სატრანსპორტო საშუალების დაშვება/გადაადგილება აეროპორტის კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში აუცილებელია ავიასაწარმოს/ორგანიზაციის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის, ან გარკვეული სამუშაოების შესასრულებლად (განმცხადებელი ავიასაწარმოს/ორგანიზაციის მოქმედი ხელშეკრულების საფუძველზე).

10.3 მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მუდმივი (30 კალენდარული დღის ან 12 თვის მოქმედების ვადით) დაშვების მოთხოვნისას, გარდა დაშვების წერილისა (დანართი #2), თითოეულ მექანიკური სატრანსპორტო საშუალებაზე ივსება ინდივიდუალური განაცხადი, რომლის ფორმაც მოცემულია გაერთიანების ვებ. გვერდზე www.airports.ge, ასევე დანართი #5-ის სახით, დაერთვის წინამდებარე დებულებას.

10.4 მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მუდმივი (30 კალენდარული დღის ან 12 თვის მოქმედების ვადით) საშვის მისაღებად აუცილებელია პიროვნება ფლობდეს აეროდრომის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალების და ქვეითთა მოძრაობის მოწესრიგების სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლების დამადასტურებელ მართვის მოწმობას და შესაბამისი კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების აქტიურ საქართველოს მიერ აღიარებულ მართვის მოწმობას.

10.5 მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მუდმივი (30 კალენდარული დღის ან 12 თვის მოქმედების ვადით) საშვის მისაღებად წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტები:

10.5.1 მექანიკური სატრანსპორტო საშუალების საქართველოში რეგისტრაციის მოწმობის ასლი;

10.5.2 სრულყოფილად შევსებული დაშვების წერილი და თითოეულ მექანიკური სატრანსპორტო საშუალებაზე შევსებული განაცხადის ფორმა;

10.5.3 გაერთიანების მიერ დადგენილი ტარიფის შესაბამისად საშვის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

შენიშვნა: იმ მექანიკური სატრანსპორტო საშუალებას, რომელიც არ ექვემდებარება სახელმწიფო რეგისტრაციას, მუდმივი საშვის მისაღებად აუცილებელია, რომ ჰქონდეს ავიასაწარმოს/ორგანიზაციის მიერ მინიჭებული სპეციალური საღრიცხვო (საფარეხო) ნომერი.

10.6 მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მუდმივი საშვი დამაგრებული უნდა იქნეს წინა საქარე მინაზე.

10.7 მექანიკური სატრანსპორტო საშუალება დაიშვება აეროპორტის კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების იმ ზონებში, რომელიც მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მძღოლის აეროდრომის ექსპლუატანტის მიერ გაცემული მართვის მოწმობით არის განსაზღვრული.

10.8 ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ მექანიკური სატრანსპორტო საშუალებაზე, მუდმივი საშვი გაიცემა მხოლოდ ავიასაწარმოს/ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს აღნიშნული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების გამოყენებას ავიასაწარმოს/ორგანიზაციის საქმიანობის ფარგლებში.

11. მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ერთჯერადი საშვი

11.1 მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ერთჯერადი საშვი გაიცემა ორგანიზაციის/ავიასაწარმოს დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე იმ შემთხვევაში, როდესაც მექანიკური სატრანსპორტო საშუალების დაშვება/გადაადგილება აეროპორტის შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში აუცილებელია ავიასაწარმოს/ორგანიზაციის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის, ან იმ სამუშაოს შესასრულებლად, რომელიც შესაძლოა არ იყოს დაკავშირებული სამოქალაქო ავიაციის ფუნქციონირებასთან.

11.2 საშვის მოქმედება განსაზღვრულია 24 საათით, ერთჯერადად.

11.3 მექანიკური სატრანსპორტო საშუალებაზე ივსება წერილის ფორმა, რომელიც მოცემულია გაერთიანების ვებ. გვერდზე www.airports.ge. (დანართი #2).

11.4 მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ერთჯერადი საშვის მისაღებად წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტები:

- სათანადოდ შევსებული და ხელმოწერილი დაშვების წერილი;
- თითოეული მძღოლის პირის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტების და შესაბამისი კატეგორიის მექანიკური სატრანსპორტო საშუალების აქტიური საქართველოს მიერ აღიარებულ მართვის მოწმობა.
- მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობის ასლი;
- გაერთიანების მიერ დადგენილი ტარიფის შესაბამისად საშვის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

11.5 საშვი დამაგრებული უნდა იქნეს წინა საქარე მინაზე;

11.6 მექანიკური სატრანსპორტო საშუალების საშვი დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდეს გაერთიანებას:

- გაერთიანების მოთხოვნისთანავე;
- მისი შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში ყოფნის აუცილებლობის არ არსებობის შემთხვევაში;

- ✈ მექანიკური სატრანსპორტო საშუალების აეროპორტის კონტროლირებადი ან შეზღუდული დაშვების დაცული ზონის დატოვებისთანავე;
- ✈ საშვის მოქმედების ვადის ამოწურვისთანავე;

11.7 ყველა მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომელზეც გაცემულია ერთჯერადი საშვი უნდა იმყოფებოდეს საშვის მომთხოვნი ავიასაწარმოს/ორგანიზაციის მეთვალყურეობის ქვეშ.

11.8 ერთჯერადი საშვის მქონე მექანიკური სატრანსპორტო საშუალების გაცილებას უზრუნველყოფს აეროდრომის ექსპლუატანტის საავიაციო უშიშროების უზუნველმყოფი პერსონალი ან დაინტერესებული ავიასაწარმოს/ორგანიზაციის გამცილებელი*, რომელიც ფლობს სატრანსპორტო საშუალების შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობას და აეროდრომის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალების და ქვეითთა მოძრაობის მოწესრიგების სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლების დამადასტურებელ მართვის მოწმობას.

12. კონტროლირებად და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში ცეცხლსასროლი იარაღით დაშვება

12.1 საქართველოს აეროპორტებში ბაზირებული/დასაქმებული, ოპერატიულ-სამძებრო და კონტრდაზვერვითი საქმიანობის განმხორციელებელი უწყებებისა და სხვა სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლები, რომელთაც აეროპორტში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულები მიზნით, ესაჭიროებათ სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღის შეტანა და იარაღის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად აქვთ სამსახურეობრივი საშტატო ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლება, შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში დაიშვებიან სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღით, შემოწმების საფუძველზე. შემოწმება უნდა განხორციელდეს მგზავრის სტატუსის არმქონე პირის მიმართ დადგენილი შემოწმების სრული წესის დაცვით.

12.2 სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლები კონტროლირებად ტერიტორიაზე სამსახურებრივი დანიშნულების ცეცხლსასაროლი იარაღით და სპეციალური ტექნიკური საშუალებებით დაიშვებიან მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

12.3 12.1 პუნქტში მითითებული პირების მუდმივ საშვზე დატანილი უნდა იყოს სპეციალური აღნიშვნა (სიმბოლო/ნიშანი), რომელიც ადასტურებს ამ კატეგორიის პირთა უფლებას, გადაადგილდნენ სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღით, აეროპორტის კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში.

12.4 ყველა უწყება ვალდებულია, “გაერთიანებას” წერილობით, შესაბამისი განაცხადის ფორმით (დანართი #6) აცნობოს იმ პირთა შესახებ, რომელსაც სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად ესაჭიროება სამსახურებრივი-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღის შეტანა აეროპორტის კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში.

12.5 ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი უწყებების წარმომადგენლები, რომლებიც არ არიან ბაზირებული აეროპორტის ტერიტორიაზე, მაგრამ სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად, ოპერატიულად, ესაჭიროებათ სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღით დაშვება კონტროლირებად და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში, დაიშვებიან შემოწმების გარეშე

აეროდრომის ექსპლუატანტის საავიაციო უშიშროების ხელმძღვანელი პირის წინასწარი ინფორმირების საფუძველზე.

12.6 სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღით დასაშვები პირების რაოდენობა მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი.

13. დოკუმენტების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება

13.1 დაშვების წერილის და თანდართული დოკუმენტების მიღების შემდეგ "გაერთიანება", 5 სამუშაო დღის ვადაში, ამოწმებს მათ შესაბამისობას განსაზღვრულ მოთხოვნებთან, ასევე აფასებს, რამდენად დასაბუთებული და მიზანშეწონილია კონკრეტული პიროვნებისა თუ მექანიკური სატრანსპორტო საშუალების დაშვება კონტროლირებადი და შეზღუდული დაშების დაცულ ზონაში და იღებს გადაწყვეტილებას მოთხოვნის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

13.2 ავიასაწარმო/ორგანიზაცია ვალდებულია გადაწყვეტილების თაობაზე ინფორმაციის მიღების მიზნით, დოკუმენტების ჩაბარებიდან 5 სამუშაო დღის გასვლის შემდეგ დაუკავშირდეს გაერთიანებას.

13.3 დაშვების წერილში ან თანდართულ დოკუმენტაციაში ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, "გაერთიანება" არ არის ვალდებული შეატყობინოს ავიასაწარმოს/ორგანიზაციას აღნიშნულის თაობაზე.

14. დაშვებაზე უარის თქმა

14.1 "გაერთიანება" არ გასცემს საშვს თუ ავიასაწარმოს/ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები არ აკმაყოფილებს განსაზღვრულ მოთხოვნებს ან/და გაერთიანება დაადგენს, რომ არ არის დასაბუთებული ან/და მიზანშეწონილი პირის/მექანიკური სატრანსპორტო საშუალების დაშვება კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში.

14.2 "გაერთიანება" არ არის ვალდებული დაასაბუთოს უარი დაშვებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა უარის მიზეზი არასრული ან არასწორი დოკუმენტაცის წარმოდგენაა.

14.3 განმცხადებელს, წარმოდგენილი დოკუმენტები უკან არ უბრუნდება.

14.4 გაერთიანების მიერ დაშვებაზე უარის თქმის, ან გაერთიანების მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე დაინტერესებული პირის მიერ დაშვებაზე უარის თქმის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს ერთი თვის ვადაში უკან დაუბრუნდება წინასწარ გადახდილი საფასურის ნაწილი, რომლის ოდენობა განსაზღვრულია "გაერთიანების" ბრძანებით.

14.5 კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში პიროვნების მუდმივი და დროებითი საშვით დაშვებაზე უარის თქმის საფუძველია:

14.5.1 პირის ანკეტური მონაცემების დაუდასტურებლობა;

14.5.2 წარმოდგენილი ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ადასტურებს პირის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტს;

14.5.3 ანკეტური მონაცემების შემოწმების შედეგად იქნა გამოვლენილი, რომ პირი ადმინისტრაციულად სახდელდადებულია ნარკოტიკული საშუალებასთან, მის ანალოგთან ან პრეკურსორთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო;

14.5.4 ნასამართლევია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ან/და ასევე უცხო ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული შემდეგი დანაშაულის ჩადენისათვის, მიუხედავად ნასამართლეობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა:

14.5.5 ნარკოტიკული დანაშაული, რომელიც მოიცავს ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღებას ან მოხმარებას;

14.5.6 ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღება ან გამოყენება ტერორისტული მიზნით;

14.5.7 დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ;

14.5.8 დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ;

14.5.9 ტერორისტული ორგანიზაციის წევრობა, ტერორისტული ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილეობა, ტერორისტული ორგანიზაციის შექმნა ან ხელმძღვანელობა;

14.5.10 ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, თაღლითობა, გამოძალვას, მითვისება ან გაფლანგვა;

14.5.11 სამოქალაქო ავიაციის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი ქმედება;

14.5.12 კრიმინალური დაჯგუფების წევრობა.

14.16 გამონაკლის შემთხვევებში, ანკეტური მონაცემების შემმოწმებელი უწყება, უფლებამოსილია მისცეს პირს შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში საქმიანობის განხორციელების უფლება, თუ საშვის მაძიებელი ნასამართლევია/ადმინისტრაციულად სახდელდადებულია ნაკლებად მძიმე დანაშაულის/ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის, ნასამართლეობა მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს/ითვლება ადმინისტრაციულად სახდელდაუდებლად და მიიჩნევა, რომ ის არ წარმოადგენს საფრთხეს სამოქალაქო ავიაციისთვის.

15. საშვების გაცემა და ამოღება

15.1 "გაერთიანების" მიერ, დაინტერესებული ავიასაწარმოს/ორგანიზაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საშვი გაიცემა გაერთიანების საშვთა ბიუროში, მოთხოვნის დაკმაყოფილებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. დასამზადებელი საშვების რაოდენობიდან გამომდინარე, გაერთიანება უფლებამოსილია გონივრული ვადით დაარღვიოს საშვის დამზადების ვადები.

15.2 დაჩქარებული წესით საშვის დამზადების ვადები და ტარიფი დადგენილია "გაერთიანების" ბრძანებით (დანართი #4).

15.3 საშვის გაიცემა მხოლოდ მასზე, ვისთვისაც ის დამზადებულია.

15.4 მექანიკური სატრანსპორტო საშუალების საშვი გაიცემა მხოლოდ განაცხადში მითითებულ მძღოლ(ებ)ზე და მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებ(ებ)აზე;

15.5 საშვთა გაცემა-მიღების პროცესში, მის მფლობელს გადაეცემა "საშვის მფლობელის სამახსოვრო".

15.6 საშვთა ბიუროს წარმომადგენელი ვალდებულია მოახდინოს საშვის მიმღების იდენტიფიკაცია.

15.7 საშვის გაცემა იმ თანამშრომლებზე, რომლიც სამსახურეობრივ მოვალეობას ასრულებს სასაზღვრო და საბაჟო ზონებში, თანხმდება სასაზღვრო და საბაჟო

კონტროლის ორგანოებთან, რის შესახებაც აღინიშნება განცხადების შესაბამის გრაფაში.

15.8 თუ პირი არღვევს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სფეროში მოქმედ კანონმდებლობას და ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებს, ხდება საშვის პროგრამული დეაქტივაცია ან/და ჩამორთმევა.

16. ცვლილება გაცემულ საშვებში

16.1 ცვლილების შეტანა შესაძლებელია შემდეგი ტიპის საშვებში:

16.1.1 პიროვნების მუდმივი საშვი - დაშვების ზონის ან პიროვნების თანამდებობის ცვლილება;

16.1.2 მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მუდმივი საშვი - ზონის ან მძღოლის ცვლილება;

16.1.3 პიროვნების დროებითი საშვი - თანმხლები პირის ცვლილება.

16.2 არსებულ საშვში ცვლილების შესატანად, დაინტერესებული ავიასაწარმო/ორგანიზაცია წერილობით მიმართავს "გაერთიანებას" და წერილს ურთავს საჭირო დოკუმენტებს. საშვში ცვლილების შეტანის შესახებ წერილის წარდგენა და გაერთიანების მიერ მისი განხილვა ხდება ახალი საშვის გაცემის პროცედურის ანალოგიურად.

16.3 საშვში ცვლილებების შესატანად აუცილებელია მისი ღირებულების გადახდა გაერთიანების დადგენილი ტარიფით (დანართი #4).

17. საშვის დაკარგვა ან დაზიანება

17.1 საშვის დაკარგვის შემთხვევაში საშვის მფლობელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ სიტყვიერად აცნობოს უშუალო ხელმძღვანელს ან/და "გაერთიანებას". ავიასაწარმო/ორგანიზაცია ვალდებულია მომხდარი ფაქტის შესახებ უმოკლეს ვადაში წერილობით აცნობოს "გაერთიანებას".

17.2 საშვის დაზიანების შემთხვევაში, "გაერთიანება" უფლებამოსილია, მოსთხოვოს დაშვების მიმღებს საშვის შეცვლა. დაზიანებული საშვით კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში დაშვება აკრძალულია.

17.3 დაკარგული ან დაზიანებული საშვის განახლებისას, ახალი საშვი გაიცემა ძველი საშვის მოქმედების ვადით.

17.4 საშვის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში "გაერთიანების" ბრძანებით დადგენილია ფულადი საჯარიმო სანქციები (დანართი #4).

18. საშვის მოქმედების შეჩერება

18.1 იმ შემთხვევაში, თუ აეროპორტის კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში შესასვლელი საშვით მოსარგებლე პირი არღვევს კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში მოქმედების შესახებ კანონმდებლობით ან გაერთიანების აქტებით დადგენილ წესებს, მათ შორის, სხვაგვარად განზრახ ხელს შეუშლის ან შეაფერხებს სამოქალაქო ავიაციის სრულყოფილად/გამართულად საქმიანობის პროცესს, ასევე შეაფერხებს საჰაერო ხომალდის გაფრენას, გადაადგილებას, ან/და ჩაიდენს ისეთ ქმედებას, რომელიც რეპუტაციულად დააზიანებს ქვეყნის ინტერესებს, გაერთიანება, გარდა კონკრეტული პირისათვის საშვის მოქმედების შეჩერების ან შეწყვეტისა, უფლებამოსილია ავიასაწარმოს/ორგანიზაციის ყველა სხვა თანამშრომელს შეუჩეროს შეზღუდული

დაშვების დაცულ ზონაში დაშვება, კონკრეტულ ქმედებასთან მათი შესაძლო კავშირის გარკვევამდე.

18.2 "გაერთიანების" უფლებამოსილი პირის მიერ 18.1 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საკითხს შეისწავლის "გაერთიანების" დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისია. კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება და კომისია იქმნება საშვების მოქმედების შეჩერებიდან 10 დღის ვადაში. კომისია საკითხს შეისწავლის ერთი თვის ვადაში, რა დროსაც უფებამოსილია გამოკითხოს კონკრეტულ ქმედებასთან კავშირში მყოფი პირები, გამოითხოვოს მასალები და მიიღოს გადაწყვეტილება შეჩერებული საშვების გაუქმების ან მოქმედების გაგრძელების თაობაზე.

18.3 თუ კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე საკითხის შესწავლა მოითხოვს დამატებით დროს, კომისია უფლებამოსილია საკითხის განხილვის ვადა გააგრძელოს 2 (ორი) თვის ვადით.

19. დაშვების გაუქმება

19.1 გაერთიანების მიერ დაშვება უქმდება შემდეგ შემთხვევებში:

19.1.1 საშვის მოქმედების ვადის გასვლა;

19.1.2 საშვის მფლობელი ვეღარ აკმაყოფილებს შესაბამისი დაშვების მისაღებად გაერთიანების ან კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

19.1.3 გაერთიანების მიმართ არსებული ფინანსური დავალიანება;

19.1.4 საშვის მომთხოვნი ავიასაწარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაცია. აღნიშნულის შემთხვევაში საშვის მომთხოვნი ავიასაწარმო/ორგანიზაცია ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს გაერთიანებას;

19.1.5 საშვით მოსარგებლე პირი გათავისუფლებული იქნა დაკავებული პოზიციიდან, გარდაიცვალა ან/და კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იქნა გარდაცვლილად, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან ქმედუუნაროდ. აღნიშნულის შემთხვევაში საშვის მომთხოვნი ავიასაწარმო/ორგანიზაცია ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს გაერთიანებას;

19.1.6 საშვით მოსარგებლე მექანიკური სატრანსპორტო საშუალება განადგურდა. აღნიშნულის შემთხვევაში საშვის მომთხოვნი ავიასაწარმო/ორგანიზაცია ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს გაერთიანებას;

19.1.7 სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მხრიდან სერტიფიცირებას დაქვემდებარებულ ავიასაწარმოს/ორგანიზაციას შეუჩერდა/გაუუქმდა სერტიფიკატი/ლიცენზია/ ნებართვა;

19.1.8 ამოიწურა საშვით მოსარგებლე პირის ან მექანიკური სატრანსპორტო საშუალების დაშვების აუცილებლობა გაერთიანების შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში;

19.1.9 როდესაც საშვით მოსარგებლე არღვევს შეზღუდული დაშვების დაცულ ზონაში მოქმედების შესახებ კანონმდებლობით ან გაერთიანების აქტებით დადგენილ წესებს და მოთხოვნებს ან/და სხვაგვარად უარყოფითად მოქმედებს საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფაზე;

19.1.10 სამართალდამცავი ორგანოების მოტივირებული მოთხოვნით;

19.1.11 კანონმდებლობაში განხორციელებული ისეთი ცვლილებების დროს, როდესაც კონკრეტული დაშვების არსებობა წინააღმდეგობაში მოდის კანონმდებლობასთან.

19.2 საშვის მომთხოვნი ავიასაწარმო/ორგანიზაცია ვალდებულია, საშვის დაბრუნების საფუძვლის დადგომიდან 7 სამუშაო დღის ვადაში წერილობით აცნობოს ეს გარემოება გაერთიანებას და წერილთან ერთად წარადგინოს დასაბრუნებელი საშვი.

19.3 დაშვების გაუქმება შესაძლოა გამოიხატოს საშვის სრული გაუქმებით ან ნაწილობრივი შეზღუდვით (ცალკეულ ზონებში დაშვების შეზღუდვა).

***გამცილებელი პირის მოვალეობები:**

1. გამცილებელი პირი ვალდებულია გასაცილებელ პირს თან ახლდეს როგორც საშვის გაცემისას, დაესწროს საშვის გაცემის პროცედურებს, ასევე შეზღუდული დაშვების ზონებში გადაადგილებისას და არ დატოვოს უმეთვალყურეოდ. პიროვნების ან/და მექანიკური საშუალების ერთჯერადი საშვის აღებისას გამცილებელმა უნდა უზრუნველყოს საშვის დროულად დაბრუნება საშვთა ბიუროში;
2. გამცილებელი ვალდებულია ერთჯერადი/დროებითი საშვით მოსარგებლე პირი შეიყვანოს მხოლოდ იმ ზონებში, რომლებიც დაფიქსირებულია დაშვების წერილში და მითითებულია გასაცილებელი პირის საშვზე;
3. ერთჯერადი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების საშვის აღებისას, გამცილებელი აუცილებლად უნდა ფლობდეს აეროდრომის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალების და ქვეითთა მოძრაობის სწავლების სერტიფიკატს, უნდა უზრუნველყოს გასაცილებელი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხოდ და სათანადო წესების დაცვით გადაადგილება კონტროლირებად ტერიტორიაზე:
4. გამცილებელი პირი ვალდებულია იცოდეს საშვების მოხმარების წესები და გააცნოს სტუმარს. ასევე გააფრთხილოს იმ საჯარიმო ღონისძიებების გატარების შესახებ, რომლებიც შესაძლოა მოჰყვეს საშვის დაზიანებას, დაკარგვას ან/და დროულად არ დაბრუნებას;
5. იმ შემთხვევაში, თუ გამცილებელის მხრიდან პირნათლად არ სრულდება დაკისრებული ვალდებულება, აღნიშნული წესების უხეში დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, „გაერთიანების“ მხრიდან შესაძლოა მოხდეს ამ პირისთვის გამცილებლის მოვალეობის შეზღუდვა.